ოქმი:**ო02. 3724327001**
თარიღი:**22/11/2024**

ოქმი № 12

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2024 წელი, 20 ნოემბერი
ქ.ოზურგეთი
15:00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თ. ტუღუში, ალ. ღლონტი, ლ. კილაძე, ტ. აროშიძე, დ. ჭაკნელიძე, ნ. ურუშაძე, ნ. სარჯველაძე, გ. შილაკაძე, დ. მდინარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.
   მომხსენებელი: ბექა თოიძე
   თანამომხსენებელი: პ. ჭყონია, გ. ჩაგანავა

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების თაობაზე.
   მომხსენებელი: ბექა თოიძე

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ, კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტზე, შემდეგ პროექტის გასაცნობად სიტყვა გადასცა თანამომხსენებელ პ. ჭყონიას. თანამომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, აღნიშნა 2025 წლის ბიუჯეტის მოცულობა 41 130.0 ათასი ლარით არის განსაზღვრული. შემდეგ თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ კომისიის წევრებს მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია იმ მიმართულებებისა და პროგრამების დაფინანსებაზე, რომლებიც ფუნქციურად კომისიის შესწავლის საგანია.ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება. მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას წარმოშობილი

შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

კომისიამ მოიწონა მერიის მიერ წარმოდგენილი „რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების თაობაზე.”_პროექტი და მიზანშეწონილად მიიჩნია მისი განხილვა საკრებულოს სხდომაზე.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღი ს წესრიგში შეტანილი პირველი საკითხი შენიშვნების,წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი